

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში არ არსებობს საბანკო კრედიტების ერთიანი კლასიფიკაციის სისტემა. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი კლასიფიკაცია მოიცავს საბანკო კრედიტების შესაძლო მაქსიმალურ სეგმენტაციას (თუმცა, ის შეიძლება არასრული იყოს), მაგრამ მათი გამოყენება კონკრეტული კომერციული ბანკების, მარეგულირებლების ან ანალიტიკოსების მიერ არის სუბიექტური და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანს ემსახურება მათი კვლევა.

14.2. ერთჯერადი კრედიტების ბანკა

ერთჯერადი (მიზნობრივი) კრედიტები შეადგენენ კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის საერთო მოცულობის უდიდეს ნაწილს და მათი გაცემის ხდება შემთხვევიდან შემთხვევამდე, კონკრეტული მიზნისათვის და კონკრეტული პროექტის (ობიექტის) დასაფინანსებლად. ერთჯერადი კრედიტის გაცემისას ფორმდება ინდივიდუალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომელშიც განერილია ყოველი დეტალი, მათ შორის, რა თქმა უნდა, მიზნობრიობა, დაფარვის ვადები და ა.შ.

ერთჯერადი კრედიტის ყოველი მოთხოვნისას პოტენციურ მსესხებელს უნევს ბანკში თავისი მოთხოვნის არგუმენტირება (დასაბუთება) და შესაბამისი დოკუმენტების აუცილებელი პაკეტის წარდგენა. მიზნობრივი კრედიტის გაცემის ხდება ერთჯერადად, სასესხო ანგარიშიდან მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე კრედიტის თანხის ჩარიცხვით. აქედან გამომდინარე, მსესხებელს ექნება იმდენი სასესხო ანგარიში, რამდენი მიზნობრივი ობიექტიც აქვს. მაგალითად, ფიზიკურ პირს იპოთეკური და ავტოკრედიტის არსებობის შემთხვევაში ორი შესაბამისი სასესხო ანგარიში ექნება. რა თქმა უნდა, ანალოგიურია შემთხვევები იურიდიული პირების დროსაც. არსებული კრედიტის სრულად დაფარვის შემდეგ იმავე ან სხვა მიზნობრიობის ახალი კრედიტის დამტკიცებისას იხსნება ახალი სასესხო ანგარიში და ა.შ.

ერთჯერადი კრედიტების ფასი არაა ერთგვაროვანი და დამოკიდებულია სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებაზე, მათ შორის, დაკრედიტების მიზანზე, პოტენციური მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობასა და მის რეპუტაციაზე, საკრედიტო რისკის ხარისხზე, ფულადი ბაზრის კონიუნქტურასა და კონკურენციის დონეზე, ასევე დაკრედიტების ვადაზე, უზრუნველყოფის სახეობაზე, ვალუტაზე და ა.შ.

ტრადიციულად, იურიდიულ პირებზე გაცემული ერთჯერადი კრედიტების უზრუნველყოფის სახეობებია მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობები, ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები, უძრავი ქონება და მოწყობილობები.

ფიზიკური პირების შემთხვევაში ერთჯერადი კრედიტების გაცემისას უზრუნველყოფის ძირითად სახეობებად გვევლინება უძრავი და მოძრავი ქონება, გარანტია და თავდებობა. ორივე შემთხვევაში, როგორც წესი, კრედიტის უზრუნველყოფის აუცილებელ თანმდევ ელემენტს წარმოადგენს უზრუნველყოფის საგნის დაზღვევის მოთხოვნა კომერციული ბანკის მხრიდან. ფიზიკური პირის შემთხვევაში ამას შეიძლება დაემატოს უშუალოდ მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევაც.